

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ების

კატალოგი

თბილისი

2022

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
სამრეწველო ავტომატიზაცია	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS): ქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 120 კრედიტი; არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 150 კრედიტი;
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრონული მოწყობილობების ექსპლუატაციაში/High Vocational Qualification in Electronic Equipment Exploitation
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი სამრეწველო ავტომატიზაციის სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სამრეწველო ავტომატიზირებული სისტემების დაგეგმვასა და ინსტალაციას, მანქანა-დანადგარების დიზაინს, პროგრამირებასა და პარამეტრების შეყვანას, ტესტირებასა და გამართვას, ექსპლუატაციას, დიაგნოსტიკასა და შეკეთებას.
	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
	პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: <ol style="list-style-type: none"> 1. შეარჩიოს და დააინსტალიროს პროგრამული უზრუნველყოფა; 2. დაუკავშიროს პროგრამირებადი მოწყობილობები საწარმოო სისტემასთან; 3. დააპროგრამოს წარმოებასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის სისტემები; 4. გატესტოს და გამართოს ავტომატიზირებული სამრეწველო მანქანა/დანადგარები; 5. გაუწიოს ექსპლუატაცია და მოახდინოს ავტომატიზირებული სამრეწველო მანქანა/დანადგარების დიაგნოსტიკა; 6. გააუმჯობესოს ავტომატიზირებულ სისტემები და მოახდინოს მათი ადაპტირება; 7. გაუწიოს მონიტორინგი ავტომატიზირებული სისტემების მუშაობას.
	შეფასების წესი
	<p>კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:</p> <p>ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;</p> <p>ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;</p> <p>გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.</p> <p>არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.</p> <p>განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.</p> <p>განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:</p> <p>ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;</p> <p>ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.</p> <p>განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.</p>

	<p>ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (<i>მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა</i>), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:</p> <p>მართლმეტყველება</p> <ul style="list-style-type: none"> • საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა; • სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება; • მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად; • ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა; • ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა). <p>მართლწერა</p> <ul style="list-style-type: none"> • საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება; • ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება; • პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება; • წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა; • არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები; • ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.
	<p>საკონტაქტო პირი: ლაშა იაშვილი ტელ: 555 33 71 74 ელ. ფოსტა: Liashvili@gtu.ge მისამართი: ქ. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, მ.კოსტავას N77, VI სართული, ოთახი 227 დ</p>